

სწ/ქართ. VII მ.წ.

ვასტანგ როდონია, ნინო ნაკუდაშვილი
ავთანდილ არაგული, მარინე ხუციშვილი

ქართული ენა და ლიტერატურა

VII

მასწავლებლის წიგნი



შინაარსი

სახელმძღვანელოს დანიშნულება და სტრუქტურა	5
VII კლასის ეროვნული სასწავლო გეგმა ქართულ ენასა და ლიტერატურაში	8
სახელმძღვანელოს შესატყვისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან – შინაარსისა და მიზნების რუკა	26
სასწავლო მასალის წარდგენის ფაზები და გაკვეთილის დაგეგმვის ზოგადი პრინციპები	36
სანიმუშო გაკვეთილების სცენარები	43
შეფასების სისტემა, ფორმები, რეკომენდაციები შეფასებისათვის	64
სახელმძღვანელოს ზოგიერთი პარაგრაფის ენობრივი მასალის კომენტარები	71

სახელმძღვანელოს დანიშნულება და სტრუქტურა

VII კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელო შექმნილია ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით და ენისა და ლიტერატურის ინტეგრირებული სწავლებისთვისაა განკუთვნილი. სახელმძღვანელო შედგება 23 პარაგრაფისაგან, რომლებშიც გაერთიანებულია სხვადასხვა ჟანრისა და თემატიკის შემცველი მხატვრული და არამხატვრული ტექსტები. პარაგრაფის სათაური სწორედ მასში წარმოდგენილი ძირითადი ტექსტის ჟანრზე ან თემატიკაზე მითითებას შეიცავს.

ჩვენს სახელმძღვანელოში შემოთავაზებულ ყოველ ტექსტს თან ახლავს ენობრივი სავარჯიშოები, რომელშიც განხილულია ის ლექსიკური, გრამატიკული და სტილისტური საკითხები (მართლწერის საკითხებთან ერთად), რომელთა გაშუქებასაც ხელს უწყობს შესასწავლი ტექსტი. ეს საკითხები მეორდება პარაგრაფიდან პარაგრაფში და ენობრივი სავარჯიშოების შესრულებისა და ტექსტების დამუშავების კვალდაკვალ მოსწავლეს უვითარდება ენის გრძნობა, სწორი, გამართული ზეპირი და წერიტი მეტყველების უნარი. ეს არის ენის ათვისების ბუნებრივი გზა. სახელმძღვანელო გვთავაზობს ენის პრაქტიკულ შესწავლას ენობრივი სავარჯიშოების შესრულების გზით.

გარდა ამისა, სახელმძღვანელოს თან ერთვის ენობრივი სავარჯიშოების რვეული, რომელშიც სისტემური სახით არის წარმოდგენილი პრაქტიკული გრამატიკის საკითხები (რვეულში თავმოყრილი სავარჯიშოები ძირითადი ზმნური კატეგორიების ირგვლივ ერთიანდება).

სახელმძღვანელო ინტერაქტიური სწავლების პრინციპზეა აგებული. მასში დიდი ყურადღება ეთმობა მოსწავლეთა მოტივაციას. თითოეული პარაგრაფის სტრუქტურა ხელს უწყობს მოსწავლეთა მიყვანას ცოდნამდე აღმოჩენის გზით. პარაგრაფები სასწავლო პროცესის სპეციფიკის გათვალის-

წინებით სამ არათანაბარ ნაწილად იყოფა. პირველი ნაწილის ფუნქცია ერთგვარად შემამზადებელია და მას პირობითად შეიძლება ვუწოდოთ: „ტექსტის წაკითხვამდე“ (ეს ნაწილი მოიცავს: პარაგრაფის მიზანს, სამოტივაციო კითხვარსა და ლექსიკონს).

პარაგრაფის მიზანი მასწავლებელმა ხმამაღლა უნდა წაკითხოს კლასში; შემდეგ დასვას სამოტივაციო კითხვები. კითხვებზე პასუხების გაცემის შემდეგ მოსწავლეები იწყებენ ლექსიკონზე მუშაობას. კერძოდ, მათ ეძლევათ დავალება, გადაიკითხონ სიტყვათა განმარტებები, სახლში კი (სპეციალურად განკუთვნილ რვეულში) ამოინერონ ის სიტყვები, რომლებიც პირველად გაიგეს. ასე შეეჩვევიან მოსწავლეები ლექსიკონის გამდიდრებაზე მუშაობას და წლის ბოლოს სოლიდური ლექსიკური მარაგი დაუგროვდებათ.

ამის შემდეგ იწყება ტექსტის კითხვა. რთული ტექსტები (მაგალითად, პუბლიცისტური ტექსტები) და პოეტური ნაწარმოებები, სასურველია, მასწავლებელმა დასაწყისში თავად წაკითხოს ხმამაღლა. შედარებით იოლი ტექსტები კი მოსწავლეებმა უნდა წაკითხონ ჩუმად (ინდივიდუალურად) ან წყვილებში (მასწავლებელი ამ დროს დადის მერხებს შორის და აკვირდება მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხს კითხვის პროცესში). ტექსტის წაკითხვის შემდეგ მასწავლებელი ამონებს ტექსტის გაგებას თანდართული კითხვარის მეშვეობით. აქედან იწყება პარაგრაფის მესამე ნაწილი: „ტექსტის წაკითხვის შემდეგ“. ტექსტის გაგებაზე ორიენტირებულ კითხვარს მოსდევს სავარჯიშოები და რუბრიკები: „ეს საინტერესოა!“ „დამახსოვრეთ“; ჩარჩოშია ჩასმული ცნებათა განმარტებები და სხვადასხვა თეორიული სახის ინფორმაცია (მაგ., „თეზისი - არგუმენტი - დასკვნა“; „თხრობის სქემა“ და სხვ.).

ენობრივი სავარჯიშოები წარმოდგენილია შემდეგი რუბრიკებით: „ლექსიკა და ფრაზეოლოგია“, „გრამატიკა“, „სინტაქსი“, „პუნქტუაცია“, „მართლწერა“.

პარაგრაფს აკვირგვინებს ძირითადად საშინაო დავალებად განკუთვნილი წერიტი სამუშაო, რომელსაც ზოგჯერ

საკმაოდ ვრცელი ინსტრუქცია ახლავს. ამ ინსტრუქციის და-
ნიშნულებაა, გაუადვილოს მოსწავლეს საშინაო დავალების
შესრულება. მასწავლებელს კი შეუძლია ამ ინსტრუქციაზე
დაყრდნობით შეიმუშავოს საშინაო დავალების შეფასების
კრიტერიუმები.

სახელმძღვანელოს შესატყვისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან
შინაარსისა და მიზნების რუკა

პარაგრაფი	მიზანი	ტექსტი	ენობრივი მასალა	სასწავლო დროის ხანგრძლივობა	ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი შედეგები
1. ისმინე, სწავლის მძებნელო!	მოსწავლეთა გამონევა სწავლაზე, ცოდნაზე სასაუბროდ.	ილია ჭავჭავაძე- „სიტყვა წინამძღ- ვრიანთკარის სა- მეურნეო სკოლის გახსნაზე“; დავით გურამი- შვილი – „სწავ- ლა მოსწავლეთა“;	საერთო ძირის სიტყვების გან- სხვავებული მნიშვნელობა; მსაზღვრელ- საზღვრულის ბრუნება.	5 აკადემიური საათი	VII. 4,7,8, 10

2. სიტყვით საჩვენებელი მაგალითი	სულხან-საბასა და ეზოპეს იგავ-არაკების შედარება; იგავ-არაკის შე- სახებ ცოდნის გაღრმავება; იგავ-არაკის ტიპის ტექსტის შექმნაზე მუშა- ობა.	სულხან-საბა ორბელიანი – „სოფლის მა- შენებელნი“, „ძალა ერთობისა“, „უგუ- ნური მცურავი“, „გლახაკი და ქილა ერბო“, „კუ და მო- რიელი“, „კაცი და გველი“, „კეისრის მაგისტროსი“, „მოგზაურობა ევროპაში“. ილია ჭავჭავაძე – „ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე“; მუხრან მაჭავარიანი – „საბა“.	თხრობის ლაკონურობა. მოქმედების გამომხატველი სიტყვები.	5 აკადემი- ური საათი	VII. 7,8,10, 11,12, 13,14
---------------------------------------	--	--	---	-------------------------------	------------------------------------

<p>3. რა შეუძლიათ ლექსებს?</p>	<p>ერთსა და იმავე თემაზე შექმნილი პოეტური ნაწარმოებების შედარება; სათქმელის გამოხატვა ლექსის ფორმით.</p>	<p>ლადო ასათიანი – „ვაჟა-ფშაველას ნაამბობი“; ომა ნიკლაური – „საფლავზე მოვა ლექსის ხე“; ტიცვიან ტაბიძე – „რია-რია“; ბესიკ ხარანაული – „ლექსები“; ანა კალანდაძე – „რა ვარ? სტვირი ვარ!“</p>	<p>ზუსტი სინონიმები; მიმართვა.</p>	<p>6-7 აკადემიური საათი</p>	<p>VII. 2,3,5, 7,8,9, 10,11, 12</p>
<p>4. ფანტაზიის გაკვეთილი ანუ როგორ ინერება ლიტერატურული ზღაპარი</p>	<p>ზღაპრის სტრუქტურული მახასიათებლების გაცნობა; ზღაპრის შეთხზვაზე მუშაობა.</p>	<p>გურამ პეტრიაშვილი – „პატარა დინოზავრი“; „თეთრსულელა“.</p>	<p>ჩართული სიტყვები და გამოთქმები; სხვათა სიტყვის გადმოცემა.</p>	<p>5 აკადემიური საათი</p>	<p>VII. 7,8,9, 10,11, 12,13, 14</p>

<p>5. თვალსაზრისი</p>	<p>მსჯელობის სტრუქტურული მახასიათებლების გაცნობა; მსჯელობის ტიპის ტექსტის შექმნაზე მუშაობა.</p>	<p>იაკობ გოგებაშვილი – „ბურჯი ეროვნებისა“, „რანი ვიყავით გუმინ“.</p>	<p>უნახავი მოქმედების გამოხატვა; მიზეზშედეგობრივი ურთიერთმიმართების გამომხატველი სიტყვები და კავშირები.</p>	<p>4 აკადემიური საათი</p>	<p>VII. 4,5,7, 9,10,11, 12,13,14</p>
<p>6. ბალადა – ლექსად გადმოცემული ამბავი</p>	<p>თხრობის სტრუქტურული მახასიათებლების გაცნობა; სიუჟეტის ცნების შემოტანა; თხრობითი ხასიათის ტექსტის შექმნაზე მუშაობა.</p>	<p>ხალხური ბალადა – „თავფარავნელი ჭაბუკი“.</p>	<p>ნასახელარი ზმნების წარმოება.</p>	<p>5 აკადემიური საათი</p>	<p>VII. 7,8,9, 10,11, 12,13, 14</p>
<p>7. ხალხური ლეგენდა – პოეტური შთავონების წყარო</p>	<p>მხატვრული ნაწარმოების შედარება ხალხურ წყაროსთან</p>	<p>ილია ჭავჭავაძე – „ბაზალეთის ტბა“.</p>	<p>სხვათა ნათქვამის გადმოცემა.</p>	<p>3 აკადემიური საათი</p>	<p>VII. 7,8,9, 10</p>

8. კავშირი ბუნებასთან	გაპიროვნების ხერხის გაცნობა და თხრობითი ხასიათის ტექსტის შექმნა ამ ხერხის გამოყენებით.	ვაჟა-ფშაველა – „ხმელი წიფელი“, „იას უთხარით ტურფასა“; ნიკოლოზ ბარათაშვილი – „ცისა ფერს“.	როგორ გამოიხატება შედარება; ორი სიტყვის ერთად ბრუნება.	5 აკადემიური საათი	VII 7,8,9, 10,11, 12,13, 14
9. სიმღერებად ქცეული ლექსები	ციტატისა და პერიფრაზის ცნობის გაცნობა; პოეტური ტექსტის შექმნა ამ ხერხების გამოყენებით.	ანა კალანდაძე – „საქართველოო ლამაზო“; მედეა კახიძე – „ჩემი მინის სადღეგრძელო“; მურმან ლებანიძე – „სამშობლო“, „ბევრს არ დაგპირდები“; აკაკი წერეთელი – „სულიკო“; ვაჟა-ფშაველა – „სამეფოს სიმღერა“; დავით გურამიშვილი – „დინარი“.	ზმნისწინის ფუნქცია (დასრულებული მოქმედების გამოხატვა).	7 აკადემიური საათი	VII. 7,8,9, 10,11, 12,13, 14

10. წერილი	წერილის ძირითადი ელემენტების გაცნობა; მიზნისა და ადრესატის გათვალისწინებით წერის უნარ-ჩვევის გამომუშავება.	ნიკოლოზ ბარათაშვილი – „წერილი მაიკო ორბელინისადმი“; „სული ობოლი“.	პარონიმები; სხვათა სიტყვის გამოხატვა.	5 აკადემიური საათი	VII 7,8,9, 10,11, 12,13, 14
11. ჩემი ოჯახი	სიმბოლოს ცნობის შემოტანა; აქტიური კითხვის სტრატეგიების გაცნობა; თხრობითი ხასიათის ტექსტის შექმნა.	ნოდარ დუმბაძე – „სისხლი“; რევაზ ინანიშვილი – „ჩიტების გამომზამთრებელი“.	ფრაზეოლოგიზმები; რთული სიტყვების წარმოება; ზმნის საწყისი ფორმის პრაქტიკული დანიშნულება.	7 აკადემიური საათი	VII 7,8,9, 10,11, 12,13, 14
12. ჩემი სკოლა	დისკუსიის ცნობის შემოტანა; დისკუსიაში მონაწილეობისა და დისკუსიის წარმართვის უნარ-ჩვევის გამომუშავებაზე კონცენტრირება.	რეზო ინანიშვილი – „დამრიგებელი“; მერაბ ბერძენიშვილი – „ზარი“, „დამნაშავე დასჯილია“.	რიცხვითი სახელი არსებითი სახელის როლში; ორი სახელის ერთად ბრუნება.	7 აკადემიური საათი	VII. 2,4,5, 6,7,8,9, 10,11, 12,13, 14

13. პოეზია და მუსიკა	ბგერწერის ხერხის გაცნობა; პოეტური ნაწარმოების შექმნა ბგერწერის ხერხის გამოყენებით.	გალაკტიონ ტაბიძე – „ეს მშობლიური ქარია“; „ატმის რტოო, დაღალულო რტოო“, „გაგონდება თუ არა“, „მზეო თიბათვისა“.	თანხმოვანთა თანხმიერება	6 აკადემიური საათი	VII. 2,3,7, 8,9,11, 12,13, 14
14. პოზიცია	პუბლიცისტური ტექსტის გაცნობა	ილია ჭავჭავაძე – „რა გითხრათ, რით გაგახაროთ?“ ვაჟა-ფშაველა – „ენა“.	რიტორული შეკითხვა და შეძახილი.	4 აკადემიური საათი	VII. 4,7, 8,9,10
15. მკითხველის თეატრი	ზეპირ მეტყველებაზე დაკვირვების უნარ-ჩვევის გამომუშავება; მხატვრული კითხვის უნარის განვითარება.	რევაზ ინანიშვილი – „ტყის შვილები“.	ბოლომოკვეცილი სიტყვები; საკუთარი სახელები; ხმოვანმონაცვლე ზმნების დანერილობა.	5 აკადემიური საათი	VII. 2, 3,5,6,7, 8,9, 10, 13

16. პერსონაჟის პორტრეტი – ანუ რატომ აღწერენ მწერლები ადამიანის გარეგნობას და მის საცხოვრებელ გარემოს.	პერსონაჟის გარეგნობისა და ხასიათის „ხატვის“ ხერხებზე დაკვირვება; ამ ხერხების ათვისებაზე მუშაობა.	ილია ჭავჭავაძე – „კაცია-ადამიანი?!“ (ნაწყვეტები)	როგორ შევადგინოთ ლექსიკონი; ნაზმნარი ზედსართავი სახელები; სხვათა სიტყვის ნაწილაკის გამოყენება.	7-8 აკადემიური საათი	VII. 7,8,9,11, 12,13,14
17. ლიტერატურული პარალელი – ანუ კიდევ ერთი პერსონაჟის პორტრეტი	ორი პერსონაჟის შედარებითი დახასიათება; პერსონაჟის ხასიათის წარმოჩენის ხერხებზე დაკვირვება.	ალფონს დოდე – „ტარტარენ ტარასკონელის უჩვეულო თავგადასავალი“ (ნაწყვეტები)	ქონების გამომხატველი სახელების წარმოება; რიტორიკული შეძახილი.	5 აკადემიური საათი	VII. 7,8,9,10, 11,12,13, 14
18. როგორ ვიკითხოთ სასწავლო და საინფორმაციო ლიტერატურა	კითხვის სტრატეგიების გაცნობა და გამოყენება (საინფორმაციო ხასიათის ტექსტის კითხვა)	შოთა ძიძიგური, „ენის წარმოშობა“	ფაქტი და მისი შეფასება; ნაწილაკი „თურმე“; განმაზოგადებელი ჩართულები ტექსტში	6 აკადემიური საათი	VII. 1,5,7,8, 9,10,13

19. რისთვის ნერენ მემუარებს?	ავტობიოგრაფიული ტექსტის მახასიათებლების გაცნობა და გამოყენება.	ნიკო ბაგრატიონი – „ბურებთან“ (ნაწყვეტი)	კუთვნილების გამოხატვის საშუალებები	5 აკადემიური საათი	VII. 7,8,9, 10,11, 12, 13,14
20. ისტორიული პოემა	ისტორიული ფაქტისა და მხატვრული გამონაგონის გამიჯვნა ნაწარმოებში; სიუჟეტისა და ფაბულის ერთმანეთისაგან გარჩევა; პოემის უანრის გაცნობა.	აკაკი წერეთელი – „თორნიკე ერისთავი“	მეტყველების გამომხატველი ზმნები; განსაზღვრება-ეპითეტები; კუთვნილებითი ნაცვალსახელების მართლწერა (მისი, თავისი).	20 აკადემიური საათი	VII. 7,8,9,10, 11,12,13, 14
21. ვისნავლოთ გზამკვლევის შედგენა	საინფორმაციო-პოპულარული ტექსტის სტრუქტურის გაცნობა. ინფორმაციის მოძიებისა და საინფორმაციო ტექსტის შედგენის უნარ-ჩვევის განვითარებაზე მუშაობა.	ათონი (გზამკვლევი)	დარგობრივი ლექსიკა; შედგენილი ტერმინები;	7 აკადემიური საათი	VII. 1,3, 5, 7,8,9, 10,11,12, 13,14

22. ვიცით თუ არა სავეფხისტყაოსნე ნერა-კითხვა?	კითხვის სტრატეგიების (სიტყვის ამოცნობა კონტექსტის მიხედვით; ხელახლა გადაკითხვა და კითხვის გაგრძელება) გაცნობა და გამოყენება.	ოტია იოსელიანი – „ჩემი ვეფხისტყაოსანი“; შოთა რუსთაველი – „ვეფხისტყაოსანი“ (თათბირები)	ნარ-თანინი მრავლობითი	9 აკადემიური საათი	VII. 7,8,9, 10,11,12, 13,14
23. სიბრძნის ძიებაში	ნაწარმოების თემის განსაზღვრის უნარ-ჩვევის გამოუმუშავება.	ვაჟა-ფშაველა – „კლდე მხოლოდ ერთხელ თქვა“; სულხან-საბა ორბელიანი – „უნაღვლოთა მძებნელი“.	ორი სახელის ერთად ბრუნება (მსაზღვრელ-საზღვრული)	5 აკადემიური საათი	VII. 7,8,9, 10